საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-84

07/02/2022

ქ. თბილისი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 324 კმ-ზე მდ. რეჭისწყალთან მილსადენის გაშიშვლებულ მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები“; დამატებითი კვლევები და საპროექტო სამუშაოები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის KP-324 მდ. რეჭისწყლის მეწყრულ უბანზე“ პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 27 დეკემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალის“ დირექტორებმა. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2003 წელს სამინისტროს მიერ „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“ „ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 324 კმ-ზე მდ. რეჭისწყალთან მილსადენის გაშიშვლებულ მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები“; დამატებითი კვლევები და საპროექტო სამუშაოები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის KP-324 მდ. რეჭისწყლის მეწყრულ უბანზე“ გაიცა №19 (25.03.2003) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2007 წელს მოხდა „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“ შერწყმა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“, რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 18 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-678 ბრძანება „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 324 კმ-ზე მდ. რეჭისწყალთან მილსადენის გაშიშვლებულ მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები“; დამატებითი კვლევები და საპროექტო სამუშაოები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის KP-324 მდ. რეჭისწყლის მეწყრულ უბანზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 324 კმ-ზე მდ. რეჭისწყალთან მილსადენის გაშიშვლებულ მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები“; დამატებითი კვლევები და საპროექტო სამუშაოები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის KP-324 მდ. რეჭისწყლის მეწყრულ უბანზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 მაისის №2-678 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალს“;
2. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 მაისის №2-678 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ და სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი